თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4952021

ნომერი: AR1747930

თარიღი : 11.05.2020

გაცემის თარიღი : 13.05.2020

გაცნობის თარიღი : 13.05.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ევროპის I ჩიხი, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ შუკაკიძე პ/ნ 35001013592
- რუსთავი ი.ჭავჭავაძის ქ. კორ. 7 ბ. 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _

-არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათზე დაიტანეთ არსებული ღობის ნიშნულები, ასევე ცოკოლის ნიშნულები.

ფოტომონტაჟზე არსებული ხაზობრივი ნაგებობები (ბოძები და მილები) დაიტანეთ ღობის გარეთ.

-წარმოდგენილ კონსტრუქციულ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციის თანახმად იგეგმება არსებული ღობის დემონტაჟი. მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში დააფიქსირეთ ინფორმაცია იგეგმება ღობის რეკონსტრუქცია თუ მისი დემონტაჟი და ახალი მშენებლობა.

ასეთ შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ სამშენებლოდ შეზღუდულ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს : ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ); სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ); სარეკრეაციო ზონა (რზ); სპეციალური ზონა (სპეცზ); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სანიტარიული ზონა (სანზ); სამხედრო დანიშნულების ზონა 2 (სდზ).

ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მე_3 პუნქტის თანახმად : სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის (გარდა, ლსზ-სა და რზ1-სა) შემოღობვა შესაძლებელია არაუმეტეს 1,8 მეტრი სიმაღლის არაყრუ ღობით;

ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ფუნქციური ზონა - სპეციალური ზონა 1, ზემოაღნიშნულის შესაბამისად წარმოადიგნეთ განახლებული ფოტომონტაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

- საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედებს სპეციალური შეზღუდვის ასაფრენი ზოლის ზონა, რისთვისაც საჭიროა ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე შეთანხმდეს აეროდრომის ექსპლუატანტთან, შპს "ტავ ურბან საქართველოს"-სთან. აქედან გამომდინარე წარმოსადგენია შპს "ტავ ურბან საქართველოს" მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ვინაიდან ამ ეტაპზე სამსახური საკითხს სრულად ვერ განიხილავს და სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს, შესაბამისი ინფორმაციის დაზუსტებისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, საკითხის ხელახლა განხილვისას, მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობისა და ახალი გარემოებების გათვალისწინებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია გეცნობებათ დამატებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.